„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ სხდომა N1

24 მარტი, 2017 წელი

შეხვედრის დასახელება	„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ სხდომა
შეხვედრის თარიღი:	24 მარტი, 2017 წელის
შეხვედრის ადგილი:	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	თანამდებობა
საბჭოს წევრები	
საქართველოს მთავრობის მხარე	
ალექსანდრე ჯეჯელავა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
რევაზ ასათიანი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
ირაკლი მატკავა	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე
ნინო ჯავახაძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
რევაზ ჯაველიძე	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე
დამსაქმებელთა ასოციაციების/გაერთიანებების მხარე	
ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
მაია ჩიხლაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ქალ მეწარმეთა ასოციაციის წევრი, კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
მიხეილ ჭელიძე	საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი
დანიელ გახარია	ა(ა)იპ საქართველოს ქალ დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
ირმა დაუშვილი	ა(ა)იპ საქართველოს ქალ დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
ლევან სილაგავა	ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციის პრეზიდენტი
დასაქმებულთა პროფესიული კავშირების მხარე	
ირაკლი პეტრიაშვილი	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
ილია ვერძაძე	საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე
თამაზ დოლაბერიძე	საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირების პრეზიდენტი

ლავრენტი ალანია	საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მშენებელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე
ამირან ზენაიშვილი	საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირების თავმჯდომარე;
<u>სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხარე</u>	
ირინე ინასარიძე	ასოციაცია „ანიკა"- ს დირექტორი
სერგო თურმანიძე	ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი
ბექა ურუშაძე	კოალიცია „განათლება ყველასათვის საქართველო" დირექტორი
ალექსანდრე ეჯიბაძე	პროფესიული განათლების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე
საბჭოს სხვა მონაწილეები	
ელზა ჯგერენაია	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურის დაცვის სამინისტროს, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
ანა ქიტიაშვილი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი (MCA Goergia) პროფესიული განათლების პოლიტიკის ადგილობრივი ექსპერტი
მამუკა შენგელია	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, ახალგაზრდობის საქმეთა კვლევისა და ანალიზის სამმართველო
კახა ერაძე	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი
პაატა ჟორჟოლიანი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურის დაცვის სამინისტროს, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი
გიორგი ჭანტურია	კომუნიკაციის ოფიცერი, კოალიცია განათლება ყველასათვის - საქართველო (EFA)
საბჭოს სხდომის მდივანი	
ანა ჩხიკვაძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შეხვედრის დღის წესრიგი

დრო	შინაარსი	მომხსენებელი
14:00-14:10	სხდომის გახსნა, დღის წესრიგის გაცნობა	**ალექსანდრე ჯეჯელავა** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, „პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ თავჯდომარე
14:10-14:25	არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი (პროექტი)	**ნინო ბერელიძე** სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
14:25-14:45	თემის განხილვა	
14:45-15:00	სექტორული საბჭოების განვითარების ხედვა	**კახა ერაძე** სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი **ანი ქიტიაშვილი** ათასწლეულის გამოწვევის ფონდი (MCA Goergia) პროფესიული განათლების პოლიტიკის ადგილობრივი ექსპერტი
15:00-15:10	თემის განხილვა	
15:10-15:20	თემატური სამუშაო ჯგუფების ფორმირება ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომების გეგმა	**მარიკა ზაქარეიშვილი** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პარტნიორობის სამმართველოს უფროსი
15:20-15:40	სხვა საკითხები შეჯამება	

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი ალექსანდრე ჯეჯელავა მიესალმა პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომის წევრებს, მადლობა გადაუხადა მონაწილეობისათვის და მოკლედ, შესავლის სახით გააცნო სამინისტროს ხედვა პროფესიული განათლების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით. ბ-ნმა ალექსანდრემ, აღნიშნა, რომ ქვეყნის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობა და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი. საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმის გეგმის შესაბამისად, სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ დაპირებას წარმოადგენს 250000 სამუშაო ადგილი, რომელიც კონკრეტული ბიზნესებისა და პროექტების საჭიროებებიდან მომდინარეობს.

შესაბამისად, ამ ახალ სამუშაო ადგილებზე, პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა მოაზრება საჭიროებს განათლების სისტემის მისადაგებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და წარმადობის, მოცულობის გაზრდას. ბ-ნი ალექსანდრეს განმარტებით, აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ზრდა და გააქტიურება, კერძო კოლეჯების გაძლიერება, დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობით მოკლევადიანი, მომზადება-გადამზადების პროგრამების დანერგვა-განხორციელება და მარკეტინგული კამპანიის უზრუნველყოფით პროფესიული განათლების მიმზიდველობის გაზრდა. მანვე აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის დამტკიცება პარალელურ რეჟიმში ხელს შეუწყობს სისტემაში არსებული ჩიხების დაძლევას, რაც გულისხმობს ზოგადი განათლების საფეხურზე პროფესიული განათლების ინტეგრირებასა და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შექმნას.

ბ-ნმა ალექსანდრემ მოწვეულ სტუმრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და სიტყვა გადასცა შეხვედრის პირველ მომხსენებელს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს, ქალბატონ ნინო ბერელიძეს, რომელმაც საბჭოს წევრებს წარუდგინა პრეზენტაცია „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესის“ (პროექტი) შესახებ. ქ-ნმა ნინომ, სხდომის მონაწილეებს გააცნო შემუშავებული დოკუმენტების ნუსხა - „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესის“ პროექტი, „არაფორმალური განათლების აღიარების სახელმძღვანელო“ და „არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის მეთოდოლოგია“. მისივე განმარტებით, არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი და პროცედურები, როგორც წესი, მოიცავს ოთხ ეტაპს: კომპეტენციების (მაგ. სწავლის შედეგები) იდენტიფიცირებას, რომელიც პირს შეძენილი აქვს არაფორმალური და ინფორმალური სწავლების გზით; პირის სწავლის შედეგების შესახებ დოკუმენტების შეგროვებას შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად; პირის სწავლის შედეგების შეფასებას წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე და კონკრეტული სწავლის შედეგების, მიღწევების სერთიფიკატით დადასტურებას. ქ-ნმა ნინომ აღნიშნა, რომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების - გაეროს განვითარების ფონდისა (UNDP) და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის (MCA) მხარდაჭერით, შემუშავებული არაფორმალური განათლების აღიარების ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე მე-3 საფეხურის 3 პროფესიულ სპეციალიზაციაში - „მეფუტკრე“, „აგრარული ტექნიკის ოპერატორი“ და „აიტი ტექნოლოგია“ განხორციელდა პილოტირება, რომელშიც ჩართულნი იყვნენ საგანმანათლებლო დაწესებულებები- პროფესიული კოლეჯი „ოპიზარი“, საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. პროცესში ჩართული იყო 9 ადამიანი. ქ-ნი ნინოს განმარტებით, რადგან არსებული კანონმდებლობა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების უფლებას იძლევა მხოლოდ მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, განხორციელებულმა პილოტირებამ ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია აღიარების შესაძლებლობა გაჩნდეს მე-4 და მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებშიც და აღიარების პროცესში საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩაერთონ დარგობრივი ასოციაციებიც და გაერთიანებებიც.

ქ-ნი ნინოს პრეზენტაციასთან დაკავშირებით, ბ-ნმა ალექსანდრემ დამატებით აღნიშნა, რომ არაფორმალური განათლების აღიარების პროცესებში ძალზედ მნიშვნელოვანია დარგობრივი

ასოციაციებისა და გაერთიანებების ჩართულობა, რადგან სწორედ დამსაქმებელი უნდა იყოს აღიარების წყარო.

საბჭოს წევრებს, საკითხთან დაკავშირებით, სხვა შენიშვნები და/ან წინადადებები არ გამოუთქვამთ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი „სექტორული საბჭოების განვითარების ხედვა" წარმოადგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ბატონმა კახა ერაძემ. მისი განმარტებით, 2016 წელს საქართველოში პირველად შეიქმნა სოციალური პარტნიორობის პრინციპზე დაფუძნებული 11 დარგობრივი საბჭო, რომელთა საქმიანობის მიზანსაც წარმოადგენს შრომის ბაზარზე პროფესიული ცოდნისა და უნარების მოთხოვნა-მიწოდების შესწავლის, ანალიზის და პროგნოზირების, ასევე, განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა.

ბატონმა კახამ აღნიშნა, რომ საჭიროა დარგობრივი საბჭოების მეტი სეგმენტაცია, რათა ყველა მიმართულებით გახდეს შესაძლებელი შრომის ბაზარზე პროფესიულ ცოდნასა და უნარებზე მოთხოვნა-მიწოდების ანალიზის საფუძველზე, პროფესიულ კვალიფიკაციათა ან კვალიფიკაციების შიგნით ცალკეული კომპეტენციების იდენტიფიცირება. ბ-ნი კახას განმარტებით, ასევე, არსებობს საჭიროება დარგობრივი საბჭოების პროფესიული განათლების ხარისხის მინიჭებისა და არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში ჩართვის. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სექტორული საბჭოების განვითარების მიზნით სასურველია ისინი გახდნენ დამოკიდებელნი ფუნქციონირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თავად უკარნახონ განათლების სისტემასა და დარგში მოღვაწე საწარმოებს, პროფესიული სტანდარტებისა და საკვალიფიკაციო კომპეტენციების შესახებ. პირველ ეტაპზე, რამდენიმე მიმართულების საბჭოს დამოუკიდებლად ფუნქციონირების პილოტირებისას მეთოდოლოგიური მხარდაჭერაზე მზაობა გამოხატა ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა (MCA Goergia).

ბ-მა კახამ ასევე, აღნიშნა, რომ დარგობრივ საბჭოებთან დაკავშირებით საჭიროა გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

- როგორ მოხდება დაფინანსება საბჭოების შეხვედრების ორგანიზებისა და მუშაობის ადმინისტრაციული მხარდაჭერისთვის;
- ვისგან უნდა შედგებოდეს დარგობრივი საბჭოები;
- რა იქნება დარგობრივი საბჭოების მანდატი, როლი და ფუნქციები.

მისივე თქმით, დარგობრივი საბჭოების ფუნქციებს მომავალში წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის განვითარების მხარდაჭერა ვიწრო დარგობრივ ჭრილში და უნარების პროგნოზირება როგორც მოკლევადიან, ისე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

ბ-მა კახამ პრეზენტაცია შეაჯამა და განმარტა, რომ სასურველია აღნიშნული პროცესების განხორციელებისთვის დაიწყოს დიალოგი ბიზნეს გაერთიანებებთან, პროფესიულ კავშირებთან და მათთან შეთანხმებით დაიგეგმოს მომდევნო ნაბიჯები, რათა დარგობრივი საბჭოების ფუნქციონირება გახდეს უფრო ეფექტური და მრავალმხრივი.

საკითხთან მიმართებაში, ბატონმა ალექსანდრემ გამოთქვა მოსაზრება, რომ დარგობრივი საბჭოების დამოუკიდებლად ფუნქციონირება შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა მოდელის გამოყენებით. მაგალითად, იქ სადაც, მკვეთრად ჩამოყალიბებული, ძლიერი დარგობრივი ასოციაციებია, შესაძლებელია მოისინჯოს მათზე ფუნქციათა დელეგირება და მათი ჩართულობით მოხდეს საბჭოს დამოუკიდებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საკითხი შეაჯამა ბატონმა ალექსანდრემ და საბჭოს წევრებს სთხოვა, განხილულ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებების საბჭოს სამდივნოსთან გადმოგზავნა.

ქ-ნმა მარიკა ზაქარეიშვილმა, სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული ბოლო საკითხი და წარმოადგინა ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომების განრიგი და სავარაუდო განსახილველი თემები, რომლებიც წელიწადში ოთხჯერ, ყოველი კვარტლის ბოლოს გაიმართება. დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა თამარ ქიტიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოს დებულების თანახმად სათათბირო ორგანო უფლებამოსილია გარკვეული საკითხების დამუშავების მიზნით შექმნას დროებითი ან მუდმივმოქმედი თემატური სამუშაო ჯგუფები. ქ-ნმა თამარმა დასძინა, რომ სწორი იქნება თუ თემატურ სამუშაო ჯგუფებს შექმნის საბჭო და საბჭოს წევრების ან მათი უფლებამონაცვლე პირების მიერ მოხდება სხვადასხვა თემების განხილვა, დამუშავება და უკვე დამუშავებული საკითხის საბჭოს სხდომაზე წარდგენა. მან ასევე განმარტა, რომ შესაძლოა ერთობლივი გადაწყვეტილებით თემატურ სამუშაო ჯგუფებში მოწვეულ იქნას დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტები, რომელიც ჩაერთვება მუშაობის პროცესში.

ქ-ნმა მარიკამ შეხვედრის მონაწილებს წარმოუდგინა ის თემატური სამუშაო ჯგუფები, რომელთა ფორმირებაც მიზანშეწონილია პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით.

- *სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარების თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების თემატური სამუშაო ჯგუფი;*
- *თემატური ჯგუფი - ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში.*

ქ-ნმა მარიკამ ისაუბრა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი თემატური ჯგუფების საჭიროებაზე, მათი ფორმირებისა და წევრთა სელექციის პროცესზე. მან ასევე მიმოიხილა თემატური ჯგუფის მხარდამჭერი დონორი ორგანიზაციების ჩართულობის შესახებ და ზოგადად წარმოადგინა ის საკითხები, რომელთა განხილვაც მოხდება თემატური ჯგუფების ფარგლებში.

ბ-ნმა ელგუჯა მელაძემ, გამოხატა ინიციატივა, მომდევნო კვარტლით გათვალისწინებული ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომის ორგანიზება მოხდეს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში.

ქ-ნმა მარიკამ, მადლობა გადაუხადა ბ-ონ ელგუჯას გამოხატული ინიციატივისთვის, საკითხი შეაჯამა და სთხოვა საბჭოს წევრებს, განხილულ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და თემატური სამუშაო ჯგუფების წევრობის კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის საბჭოს სამდივნოსთან გადმოგზავნა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის მონაწილეებს კითხვები და შენიშვნები არ ჰქონიათ.

შეხვედრა შეაჯამა ბ-ნმა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს" სხდომის თავჯდომარე
ალექსანდრე ჯეჯელავა

„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს" სხდომის მდივანი
ანა ჩხიკვაძე